ზაზა ქარჩავა

იდეოლოგიური ტენდენციები ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საბჭოთა პერიოდის სასკოლო სახელმძღვანელოებში

სტატიის ძირითად საკვლევ თემას წარმოადგენს ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები საბჭოთა პერიოდის სასკოლო სახელმძღვანელოებში. ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია შემდეგ საკითხთან: როგორ აისახებოდა საბჭოთა სამეცნიერო საზოგადოებაზე ტოტალიტარულ სახელმწიფოში გაბატონებული მარქსისტული თეორია და მისი ლენინურ-სტალინური ვარიაციები? რა გავლენას ახდენდა საბჭოთა კონიუნქტურა ისეთ დაშორებულ ეპოქაზეც კი, როგორიც ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაა? რამდენად ითვალისწინებდა საბჭოთა ისტორიოგრაფია კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შეხედულებებს ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით? როგორ აისახებოდა პოლიტიკური ელიტის ცვლილება საბჭოთა კავშირში ძველი ისტორიის სწავლებაზე?

დასავლურ ისტორიოგრაფიაში სახელმძღვანელოების კვლევა უკვე ხანგრძლივი დროა, რაც დამკვიდრებულია. ქართულ სამეცნიერო სივრცეში ამ საკითხით დაინტერესება სულ ახლახანს დაიწყო. სახელმძღვანელოების კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასში ხელშესახებად ჩანს როგორც თანადროული ეპოქის ისტორიოგრაფიული ტენდენციები, ასევე ისტორიული ფონი. ფრანგი ისტორიკოსი მარკ ფერო აღნიშნავს, რომ „ჩვენი წარმოდგენა საკუთარ თავსა და სხვა ხალხებზე მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გვასწავლიდნენ ბავშვობაში ისტორიას“.[1] ამიტომაც ისტორიის სახელმძღვანელო არის ისტორიოგრაფიული წყარო, რომლითაც შესაძლებელია არა მხოლოდ ისტორიოგრაფიული ტენდენციებისა და ისტორიული ცნობიერების, არამედ კოლექტიური მეხსიერების ფენომენის შესწავლაც.

საკითხის შესწავლისათვის მთავარ საისტორიო წყაროს წარმოადგენს სახელმძღვანელოები; შესაბამისად, ნაშრომი დაფუძნებულია ისტორიოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის დამახასიათებელ კვლევის მეთოდებზე. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი ეფუძნება ისტორიული შემეცნების მეთოდს, რაც შესაძლებელს ხდის, დინამიკაში გამოჩნდეს პრობლემის არსი. სტატიაში დეტალურად არის განხილული სახელმძღვანელოების სხვადასხვა ნიუანსი, სტატიაში ასევე გამოყენებულია ჰერმე-

[1] Ферро, *Как рассказывают историю*, გვ. 7.

ნევტიკული ანალიზი და დისკურსის ანალიზი. ამით შესაძლებელი გახდა იმ კულტურული და ისტორიული ფონის ჩვენება, რომელშიც იწერებოდა განსახილველი სახელმძღვანელოები. გარდა ამისა, გამოყენებულია კომპარატივისტული კვლევა, რისი საშუალებითაც შედარების გზით გამოვლინდა სახელმძღვანელოებს შორის არსებული ისტორიოგრაფიული სხვაობანი.

განსახილველი საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურა შედარებით მწირია. სტატიაზე მუშაობის პროცესში საკითხის გარშემო შექმნილი ლიტერატურის გადაჯგუფებისას გამოიკვეთა ორი ქრონოლოგიური ჯგუფი, რომელიც, თავისთავად, შინაარსობრივ განსხვავებასაც ითვალისწინებს. პირველ ჯგუფში ერთიანდება სახელმძღვანელოთა შესახებ საბჭოთა კავშირში გამოცემული, ხოლო მეორე ჯგუფში – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა. პირველი ჯგუფის შემთხვევაში სახელმძღვანელოს შეფასების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა შემდეგი ფაქტორი: იყო თუ არა სახელმძღვანელო დაწერილი მარქსისტული თეორიის ფარგლებში?[1] ყველა სახელმძღვანელო, რომელიც ამ იდეოლოგიურ ჩარჩოში თავსდებოდა, დადებითად ფასდებოდა. მიდგომა შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მართალია, უშუალოდ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მრავალი კვლევა არ არსებობს, თუმცა აშკარაა, რომ დღეს საბჭოთა ეპოქის განათლების სისტემის უფრო ობიექტური შეფასება ხდება. დასავლეთის სამეცნიერო წრეებში საბჭოთა განათლების სისტემა ცხადია ინტერესს იწვევდა, თუმცა ეს ინტერესი ნაკლებად ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირში ძველი ისტორიის საკითხების სწავლებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ამერიკელი ისტორიკოსის ჰიუ გრეჰემის სამეცნიერო სტატია.[2] რუსულ ისტორიოგრაფიაში კი დღემდე არ დაწყებულა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა თეორიისა და ხედვის ცვლილება.

როგორც ცნობილია, საბჭოთა განათლების სისტემა მკაცრად უნიფიცირებული იყო და ყველა 'მოკავშირე' რესპუბლიკაში ერთი და იმავე სასწავლო პროგრამით მიმდინარეობდა ისტორიის და მათ შორის ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის სწავლებაც. სწორედ ამ მიზნით, 1922 წელს საბჭოთა კავშირის დაარსებასთან ერთად გაჩნდა საერთო საკავშირო უწყება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატის სახით (განსახკომი), რომელიც საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე სასწავლო პროცესსა და საგანმანათლებლო სისტემას კურირებდა. განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ, 1923 წლის 16 ივნისს გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც საბჭოთა სკოლებში ისტორიის სწავლება ჩანაცვლდა ახალი საგნით, საზოგადოებათმეცნიერებით.[3]

---

[1] ზინოვიევი, *ისტორიის სწავლების მეთოდიკა საშუალო სკოლაში*; გორგაძე, *ისტორიის სწავლების მეთოდიკა*; Мишулин, *О марксистком учебнике*.

[2] Graham, *The Significant Role*.

[3] ზინოვიევი, *ისტორიის სწავლების მეთოდიკა საშუალო სკოლაში*, გვ. 33.

ახალ საგანს ისტორიასთან საერთო არაფერი ჰქონდა. 'რეფორმის' ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ისტორიის სწავლება სკოლებში სოციალიზმის მშენებლობის გზაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება იქნებოდა.[1] დაახლოებით 10 წლის თავზე საკითხისადმი მიდგომა შეიცვალა. 1934 წლის 16 მაისს გამოცემული განკარგულებით, „სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ", ისტორია, როგორც დამოუკიდებელი საგანი, კვლავ დაუბრუნდა საშუალო სკოლას. ისტორიის, როგორც საგნის ამოღება სასწავლო პროგრამებიდან დაბრალდა მაშინდელ განათლების სახალხო კომისარ ანატოლი ლუნაჩარსკისა და სასწავლო პროგრამების შემდგენი კომისიის ხელმძღვანელს, მიხაილ პოკროვსკის. საბჭოთა პედაგოგიკისა და ისტორიოგრაფიის მტკიცებით, ლუნაჩარსკიმ და პოკროვსკიმ სათანადოდ ვერ გაიგეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითადი პრინციპები. სინამდვილეში კი ლუნაჩარსკისა და პოკროვსკის მიერ გატარებული რეფორმა ნაწილი იყო საბჭოთა კავშირში 20-იან წლებში გაჩაღებული კამპანიისა. ესაა გარდამავალი ეპოქა, როდესაც მიმდინარეობს რეჟიმის განმტკიცება და ამ პერიოდში ბოლშევიკებმა ბევრი უტოპიური იდეა შეიმუშავეს. ამგვარი მკვეთრი ცვლილებების ხანასა და გარდამავალ პერიოდებში იქმნება 'ახალი მომავლის' იდეა, ხოლო 'ახალი მომავალი', როგორც ე. ფონერი აღნიშნავს, „[...] მოითხოვს ახალ წარსულს".[2] ახალი კომუნისტური მომავალი მოითხოვდა წარსულის, როგორც საზარელის და საშინელის წარმოჩენას, რათა მის ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთილიყო საბჭოთა ადამიანის 'უზრუნველი' და 'ბედნიერი' ცხოვრება. ასეთ დროს თავს იჩენს წარსულის გადახედვის ფორმა, რომელსაც ა. ასმანი 'აქტიურ დავიწყებას' უწოდებს.[3] 'აქტიური დავიწყება' გულისხმობს წარსულის მიზანმიმართულ უარყოფას. 'აქტიური დავიწყების' ერთ-ერთ ფორმად, როგორც პ. ნორა წერს, შეიძლება მივიჩნიოთ 'წარსულთან ანგარიშსწორება'.[4] ისტორიის, როგორც საგნის, ამოღება სასწავლო პროგრამებიდან, სწორედ ამ 'წარსულთან ანგარიშსწორების' ერთ-ერთი ფორმა იყო.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია წარმოადგენდა ძველი მსოფლიოს ისტორიის სასწავლო კურსის შემადგენელ ნაწილს, რომელიც V-VI კლასებში ისწავლებოდა. საბჭოთა კავშირში, მათ შორის საბჭოთა საქართველოშიც, ძველი ქვეყნების ისტორიის სწავლებისას, დროის სხვადასხვა მონაკვეთში გამოიყენებოდა ნ. ნიკოლსკის, ა. მიშულინის, ს. კოვალიოვის და ფ. კოროვკინის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოები. ისინი ცნობილი რუსი ისტორიკოსები იყვნენ და წმინდა სამეცნიერო კუთხითაც იკვლევდნენ ძველი ისტორიის საკითხებს, თუმცა მათი ნაშრომები არ ყოფილა ისეთი იდეოლოგიზებული, როგორც სასკოლო სახელმძღვანელო-

[1] ვარდოსანიძე, ჩიმაკაძე, ცქიტიშვილი, *ისტორიის სწავლების მეთოდიკა*, გვ. 17.
[2] Foner, *Who Owns History*, გვ. 17.
[3] Assmann, *Canon and Archive*, გვ. 97.
[4] Hopa, *Всемирное торжество памяти*, გვ. 391.

ები. სავარაუდოდ, აღნიშნულ გარემოებას ის განაპირობებდა, რომ სახელმძღვანელო შედარებით უფრო ფართო მოხმარებისაა და მას უფრო მძლავრი იდეოლოგიური დატვირთვა ენიჭებოდა. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოებში იდეოლოგიზაციის დონეც განსხვავებული იყო.

1934 წლის 16 მაისის განკარგულების შემდეგ დაიწყო აქტიური მუშაობა სახელმძღვანელოების შესაქმნელად, მათ შორის დღის წესრიგში დადგა ძველი მსოფლიოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს საკითხიც. სახელმძღვანელოები უნდა დაწერილიყო რუსულ ენაზე და შემდეგ სიტყვა-სიტყვით ეთარგმნათ 'მოკავშირე' რესპუბლიკათა ენებზე. ამიტომაც სტატიაში ვიყენებთ სახელმძღვანელოთა ქართულენოვან ვერსიებს. ხელნაწერში შესრულებულ სახელმძღვანელოებს უნდა გასცნობოდნენ იოსებ სტალინი და ანდრეი ჟდანოვი, რომელთაც, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული სახის კორექტივებიც შეჰქონდათ. ცხადია, ჟდანოვისა და სტალინის მიერ შეტანილ შესწორებებს ერთადერთი მიზანი ჰქონდათ: სასკოლო სახელმძღვანელო გადაქცეულიყო პროპაგანდისტულ იარაღად. რუსი ისტორიკოსი ა. მიშულინი, რომელიც ამასთანავე ძველი მსოფლიოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს რედაქტორიც იყო, 1939 წელს წერს შემდეგს: „სახალხო განათლების სფეროში დივერსიის აღმოსაფხვრელად განათლების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის კარგი, მარქსისტული ტიპის ისტორიის სახელმძღვანელოების გამოცემა, რაც ჩვენ ქვეყანაში მძლავრი იარაღი იქნება სკოლის მოსწავლეების იდეოლოგიური და პოლიტიკური აღზრდისათვის".[1]

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ და პედაგოგიკამ ძველი მსოფლიოს ისტორიის სწავლებას დამატებითი ფუნქციაც მოუძებნა – სახელმძღვანელოები გამოყენებული უნდა ყოფილიყო მოსწავლეთა ათეისტურად აღზრდისათვის. თუ XIX საუკუნეში, ცარისტული რეჟიმის დროს, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბარონი ნიკოლაი ძველი ისტორიის სწავლებას ზედმეტად მიიჩნევდა იმ მოტივით, რომ ქრისტიან ადამიანს არ სჭირდებოდა ძველი, წარმართული ისტორიის ცოდნა,[2] საბჭოთა რეჟიმის პირობებში, პირიქით, ძველი ისტორია გამოიყენეს მოსწავლეებში ათეიზმის გასაღვივებლად. სახელმძღვანელოებიც სწორედ ამ პრინციპით იქნა შემუშავებული; გარდა ამისა, იქმნებოდა სპეციალური მეთოდური ლიტერატურა, რომელიც ისტორიის მასწავლებლებისათვის იყო განკუთვნილი. მათში განხილული იყო ძველი აღმოსავლეთის, ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ისტორიის ყველა ის საკითხი, რომელთა დამუშავებისას პედაგოგს მოსწავლეებისათვის ათეისტური მსოფლმხედველობა უნდა ჩამოეყალიბებინა. ამგვარი ლიტერატურა XX საუკუნის 80-იან წლებშიც კი გამოდიოდა. მაგალითად, სწორედ 80-იან წლებში გამოიცა ისტორიკოსისა და პედაგოგის ზ. ჩიმაკაძის ნაშრომი „მოსწავლეთა

[1] Мишулин, *О марксистском учебнике*, გვ. 18.
[2] Николай, *О назначении гимназии*, გვ. 101-102.

მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა ძველი მსოფლიოს ისტორიის გაკვეთილებზე". მეთოდური ნაშრომის ავტორი პირდაპირ წერს, რომ ძველი ისტორიის შესწავლის შემდეგ „[...] ათეისტური მსოფლმხედველობა მოსწავლეთა შინაგანი რწმენა უნდა გახდეს და დაიცვას ისინი რელიგიური ბანგისაგან".[1] ამგვარი მეთოდური ლიტერატურა, ცხადია, მხოლოდ პროპაგანდისტული დატვირთვისა იყო და მიზნის მისაღწევად მეხუთე კლასის მოსწავლეებზე ემოციურ ზეწოლასაც კი უშვებდა. მეთოდური სახელმძღვანელოს ავტორი პირდაპირ ურჩევდა პედაგოგებს, მოსწავლეებისათვის მოეთხროთ ისეთი ამბები რელიგიის ისტორიიდან, რომლებიც მოსწავლეს გრძნობით დონეზე უარყოფითად განაწყობდა რელიგიისადმი. ამგვარი პროპაგანდისტული მიზნების განხორციელება, ცხადია, ისტორიული სინამდვილის დამახინჯების გარეშე ნაკლებად მისაღწევია. გარდა მეთოდური ლიტერატურისა ანტირელიგიური პროპაგანდა მრავლად გვხვდება თავად ძველი მსოფლიოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებშიც, თუმცა პროპაგანდის ხარისხი წლების მიხედვით განსხვავებულია. საერთო მახასიათებელი ანტირელიგიური პროპაგანდის მხრივ ის არის, რომ ყველა სახელმძღვანელოში, მარქსისტული მოძღვრების პრინციპების მიხედვით, რელიგია განხილულია, როგორც გაბატონებული კლასის ინსტრუმენტი დამორჩილებული კლასების სამართავად. მძაფრი ანტირელიგიური პროპაგანდით გამოირჩევა 1930-იან წლებში გამოცემული ნიკოლსკის სახელმძღვანელო, რომელშიც რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიურ ლოზუნგებსაც კი ვხვდებით: „[...] სოციალისტური რევოლუცია სპობს რელიგიას. რელიგიისა და ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. ამ ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა შეგნებულმა საბჭოთა მოქალაქემ და მოსწავლე ახალგაზრდობამ. ძირს რელიგია, გაუმარჯოს მეცნიერებას და სოციალიზმს"![2] აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ანტირელიგიური პროპაგანდა შედარებით შერბილებულია, რაც სრულად შეესაბამება 'სამამულო ომის წლებში' საბჭოთა კავშირის რელიგიურ პოლიტიკას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოცემულ სახელმძღვანელოებში ანტირელიგიური პროპაგანდა ომის პერიოდში გამოცემულ სახელმძღვანელოებთან შედარებით გაზრდილია, თუმცა მნიშვნელოვნადაა შემცირებული 30-იანი წლების მძაფრ ანტირელიგიურ რიტორიკასთან შედარებით.

დღეს ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომ საბჭოთა დროს ძველი ისტორიის საკითხებზე წერა მეტწილად თავისუფლად შეიძლებოდა, თუმცა ეს მოსაზრება კორექტირებას საჭიროებს. საბჭოთა სახელმძღვანელოებში ისეთი შორეული ეპოქის ისტორიაც კი, როგორიც ძველი აღმოსავლეთის ისტორიაა, მძლავრი იდეოლოგიური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. პოლიტიკური ისტორიის საკითხები სახელმძღვანელოებში მართალია

[1] ჩიმაკაძე, *მოსწავლეთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა*, გვ. 29.
[2] ნიკოლსკი, *ისტორია: წინაკლასობრივი საზოგადოება*, გვ. 50.

შერჩევითაა გადმოცემული, მაგრამ მეტწილად ისინი სწორ სამეცნიერო ინფორმაციას აწვდიდნენ მოსწავლეებს. სრულიად სხვა სურათია სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამ სეგმენტში იჩენს თავს განსაკუთრებული ტიპის პროპაგანდა და ზოგჯერ სამეცნიერო ფაქტების დამახინჯებაც კი. საბჭოთა კავშირში გაბატონებული ისტორიული მატერიალიზმის პრინციპი და მარქსისტული მოძღვრება ისტორიის მამოძრავებელ ძალად კლასთა შორის ბრძოლასა და ეკონომიკურ ფაქტორს მიიჩნევდა. ამ იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, საბჭოთა პედაგოგიკა და ისტორიოგრაფია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხების წარმოჩენას. განსახილველ სახელმძღვანელოებშიც განსაკუთრებულადაა გამახვილებული ყურადღება ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის ფორმაზე და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. ამ მიმართულებით სახელმძღვანელოებზე დაკვირვებამ ძალზედ საინტერესო სურათი წარმოაჩინა: 1933 წელს ნ. ნიკოლსკის ავტორობით გამოსულ სახელმძღვანელოში ძველაღმოსავლური სახელმწიფოები, ცხადია, წარმოდგენილია, როგორც კლასობრივი საზოგადოებები,[1] თუმცა ნიკოლსკი ამ კლასებს შორის საუბრობს არა მონათმფლობელურ ურთიერთობებზე, არამედ ბატონყმურ დამოკიდებულებაზე.[2] იგი პირდაპირ წერს, რომ შუმერულ ქალაქ-სახელმწიფოებში არსებობდა ფეოდალური მეურნეობა, იგივე აზრი არის გატარებული სხვა ძველაღმოსავლური საზოგადოებების შესახებ. ნიკოლსკი მონათმფლობელურ მეურნეობაზე საუბარს მხოლოდ ანტიკური საბერძნეთის განხილვისას იწყებს, თუმცა მონათმფლობელური წარმოების წესს არც ძველი საბერძნეთისათვის მიიჩნევს უნივერსალურ საფეხურად.[3] შემდგომ პერიოდში, კერძოდ 1940 წლიდან, ნიკოლსკის სახელმძღვანელო ჩანაცვლდა ა. მიშულინის რედაქტორობით გამოსული სახელმძღვანელოთი. მასში აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია ძველაღმოსავლურ საზოგადოებებში მონური შრომის წილის გაზრდისა და ამ საზოგადოებების მონათმფლობელურად წარმოჩენისა.[4] 1954 წლის კოვალიოვის ავტორობით გამოსულ სახელმძღვანელოში ძველაღმოსავლური საზოგადოებები უპირობოდ მონათმფლობელურად არის მიჩნეული: „ძველ აღმოსავლეთში ადრე ჩამოყალიბდა კლასობრივი საზოგადოება. ეს საზოგადოება მონათმფლობელური იყო. მაგრამ მონობამ აღმოსავლეთში სრულ განვითარებას ვერ მიაღწია. მონების შრომასთან ერთად იყენებდნენ თავისუფალი გლეხებისა და ხელოსნების შრომას. ხალხი რომ მორჩილებაში ჰყოლოდათ, მონათმფლობელებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო ძალაუფლება“.[5] ფ. კოროვკი-

[1] ნიკოლსკი, *ისტორია: წინაკლასობრივი საზოგადოება*, გვ. 52.
[2] იქვე, გვ. 55.
[3] ქარჩავა, *ანტიკური ისტორიის საკითხები*, გვ. 107-108.
[4] *ძველი მსოფლიოს ისტორია*, გვ. 26.
[5] კოვალიოვი, *ძველი მსოფლიოს ისტორია*, გვ. 65.

ნის 1958 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოშიც ძველაღმოსავლური სახელმწიფოები უპირობოდ მონათმფლობელურია. მაგალითად, ეგვიპტეზე საუბრისას კოროვკინი წერს: „ახალ წელთაღრიცხვამდე IV ათასწლეულში ეგვიპტეში გაჩნდნენ კლასები – ჩაგრულთა მონების კლასი და მჩაგვრელთა – მონათმფლობელთა კლასი. ცხოვრების იმ წესს, როდესაც ძირითადი სიმდიდრე და მონები ეკუთვნოდათ მონათმფლობელებს, მონათმფლობელური ეწოდება. ახალ წელთაღრიცხვამდე IV ათასწლეულში მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხელოსნობისა და გაცვლა-გამოცვლის განვითარებასთან ერთად პირველყოფილ-თემური წყობილება ეგვიპტეში თანდათანობით მონათმფლობელური წყობით შეიცვალა“.[1] ამ სახელმძღვანელოს შედარებით მოგვიანო გამოცემაში (მაგალითად, 1981 წლის) ეგვიპტესთან მიმართებით ტონი შედარებით შერბილებულია. კერძოდ, ძვ. წ. IV ათასწლეულის ნაცვლად, ეგვიპტეში მონათმფლობელური წყობილების დამყარების თარიღად ძვ. წ. II ათასწლეულია მიჩნეული, თუმცა ეს საერთო სურათს ვერ ცვლის. იმავე 1981 წლის გამოცემაშია შემდეგი კატეგორიული ფრაზა: „ბაბილონის სახელმწიფო, ისევე, როგორც ეგვიპტის სახელმწიფო, იყო ის ძალა, რომლის საშუალებით მონათმფლობელები ინარჩუნებდნენ ბატონობას ღარიბებსა და მონებზე. იგი იყო მონათმფლობელების სახელმწიფო – მონათმფლობელური სახელმწიფო“.[2]

მას შემდეგ, რაც გარკვეულ დონეზე ნათელი გახდა ეს გრადაცია, ჩნდება კითხვა – რა იწვევდა და რა განაპირობებდა აღნიშნულ ცვლილებებს? იმისათვის რომ გამოჩნდეს ამ ცვლილებათა გამომწვევი მიზეზები, საჭიროა, ვრცელი ექსკურსი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ძველაღმოსავლური სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლის ეტაპების შესახებ. ლოგიკურია, პირველ რიგში განვიხილოთ ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსების, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დამოკიდებულება საკითხისადმი. იქნებ, სწორედ, მათი შეხედულებები იყო სახელმძღვანელოებში წარმოჩენილი?

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო აზრი, რომ კაცობრიობამ გაიარა განვითარების ოთხი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია: პირველყოფილი, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და გაივლიდა მეხუთეს – კომუნისტურს. მარქსმა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან გამოყო ეკონომიკური სფერო, ხოლო საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან – საწარმოო ურთიერთობები. მარქსის მტკიცებით, საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ყველა სხვა სახის ზედნაშენს განაპირობებდა. ამრიგად, იგი კაცობრიობის საზოგადოებრივ და ისტორიულ განვითარებას ეკონომიკური და კლასობრივი ბრძოლის ფაქტორით განსაზღვრავდა. ამ ფაქტორებზე დაფუძნებით იყო გამოყოფილი ძირითადი საზოგადოებრივ-ეკონომიკუ-

[1] კოროვკინი, *ძველი მსოფლიოს ისტორია*, გვ. 65.
[2] კოროვკინი, *ძველი მსოფლიოს ისტორია: სახელმძღვანელო მე-5 კლასისათვის*, გვ. 75.

რი ფორმაციები. ამ ფორმაციებიდან პირველი იყო უკლასო, ასევე უკლასო უნდა ყოფილიყო ბოლო ფორმაციაც. მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში პირველ ეტაპზე, რომელიც 40-იან წლებს ემთხვევა, ასეთი სქემა აშკარად ხელშესახებია, თუმცა ამ პერიოდში არც მარქსი და არც ენგელსი აქცენტს ძველაღმოსავლურ საზოგადოებებზე არ აკეთებდნენ. ისინი კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეზე, კერძოდ, ევროპაზე საუბრობდნენ. 50-იანი წლებიდან კი იწყება მათი დაინტერესება ძველი აღმოსავლეთისა და ზოგადად აზიის ისტორიით; სწორედ ამ კონტექსტში შემოდის ე. წ. „წარმოების აზიური წესი". „წარმოების აზიურ წესზე" მინიშნება პირველად ჩნდება მარქსის მიერ ენგელსისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1853 წლის 2 ივნისით თარიღდება. ამ წერილში მარქსი საუბრობს XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურის ფრანსუა ბერნეს შესახებ, რომელიც ინდოეთის მოგოლ მმართველთა სამეფო კარზე მსახურობდა და წერილის ბოლოს წერს შემდეგს: „ბერნე, თურქეთში, სპარსეთსა და ინდოეთში და ზოგადად აღმოსავლეთში, ყველა ურთიერთობის ძირითად ფორმას სამართლიანად ხედავს იმაში, რომ იქ მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობს. ეს არის ნამდვილი გასაღები აღმოსავლეთის ცისთვის".[1] ენგელსი საპასუხო წერილში ეთანხმება მარქსს: „მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობა გასაღებია მთელი აღმოსავლეთის გასაგებად. ამაში მდგომარეობს მთელი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ისტორია".[2] ენგელსი იქვე სვამს კითხვას: „როგორ შეიძლება აიხსნას, რომ აღმოსავლეთში ვერ მიაღწიეს კერძო საკუთრებას, ვერ მივიდნენ ფეოდალურ საკუთრებამდეც კი"?[3] დასმულ შეკითხვას ენგელსი ასე პასუხობს: „მგონია, რომ უმთავრესი მიზეზი კლიმატია და ნიადაგის ბუნება, განსაკუთრებით იმ უდაბნოების გამო, რომლებიც გადაჭიმულია საჰარიდან მოყოლებული არაბეთით, სპარსეთით, ინდოეთით და სათათრეთით გაგრძელებული აზიის უმაღლეს ზეგნებამდე. აქ სოფლის მეურნეობა ძირითადად ხელოვნურ მორწყვაზეა აგებული და ეს ირიგაცია რეგიონული თემების ან ცენტრალური ხელისუფლების საქმეა".[4] საბოლოო სახით მარქსმა „წარმოების აზიური წესი" ერთ-ერთ ფორმაციად გამოყო, კერძოდ, 1859 წელს გამოსული ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" შესავალში იგი წერს: „თუ ზოგადად ავიღებთ, წარმოების აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თანამედროვე, ბურჟუაზიულ წესებს შეიძლება მათ ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები ეწოდოს".[5] იმავე ნაშრომში მარქსი წინაკაპიტალისტურ საზოგადოებებს ზემოდან ქვევით ასეთი თანმიმდევრობით გადმოსცემს: ფეოდალური, ანტიკური, აღმოსავლური.[6]

---

[1] Маркс, Энгельс, *Переписка 1844-1855*, გვ. 490.
[2] იქვე, გვ. 493.
[3] იქვე, გვ. 493.
[4] იქვე, გვ. 493-494.
[5] მარქსი, *პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის*, გვ. 11.
[6] იქვე, გვ. 290.

აშკარაა, რომ მარქსი „წარმოების აზიურ წესს“, საზოგადოდ, აღმოსავლურ სახელმწიფოებსა და საზოგადოებებზე, მათ შორის რუსულ სახელმწიფოზე, განავრცობს. იგი ტერმინებს „წარმოების აღმოსავლური წესი“ და „წარმოების აზიური წესი“ იდენტური მნიშვნელობით იყენებს. მარქსი ზუსტად რას გულისხმობდა „წარმოების აზიურ წესში“ რთული სათქმელია, თუმცა, მის ნაშრომებზე დაკვირვებით, ამ ტერმინის ქვეშ უნდა მოიაზრებოდეს ისეთი კლასობრივი საზოგადოება, სადაც მიწაზე კერძო საკუთრება სუსტადაა განვითარებული, არსებობს სამიწათმოქმედო თემები და მათი გამაერთიანებული დესპოტური სახელმწიფო. როგორც გ. მელიქიშვილი წერს: „‘წარმოების აზიური წესი’ ყველაზე ახლოს დგას წინაფეოდალურ მდგომარეობასთან და ყველაზე უფრო მეტად ფეოდალიზმის გზით განვითარების ტენდენციებს იჩენს“.[1]

კ. მარქსიც და ფ. ენგელსიც თავიანთ ნაშრომებში ერთმანეთისაგან მკაფიოდ განასხვავებენ წარმოების ანტიკურ და აზიურ წესებს. ენგელსი პირდაპირ წერს, რომ „მონობა ანტიკური მსოფლიოსთვის დამახასიათებელი ფორმაა ექსპლოატაციისა“.[2] ისინი ძველ სამყაროში ხედავდნენ ორ სხვადასხვა ფორმაციას: მონათმფლობელურს და ფეოდალიზმთან მიახლოებულ „წარმოების აზიურ წესს“. ამ განსხვავების ასახსნელად გეოგრაფიულ და კლიმატურ ფაქტორს იშველიებდნენ. „წარმოების აზიური წესის“ ბუნების ასახსნელად გეოგრაფიულ ფაქტორს მიმართავდა გ. პლეხანოვიც. პლეხანოვი თავის ნაშრომში ასკვნის, რომ წარმოების აზიური და ანტიკური წესი წარმოიქმნა პირველყოფილი ფორმაციის განვითარების შედეგად, თუმცა გეოგრაფიულმა ფაქტორმა მათ შორის კარდინალური განსხვავებანი გამოიწვია.[3] ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლურ საზოგადოებებში მარქსი და ენგელსი წარმოების მონათმფლობელურ წესს ვერ ხედავდნენ, შესაბამისად, საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და მათ შორის სახელმძღვანელოებშიც მოცემული დებულება ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელური წარმოების წესის შესახებ არ წარმოადგენდა მარქსისა და ენგელსის ნააზრევს.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დიდი დისკუსია მიმდინარეობდა „წარმოების აზიური წესის“ განსაზღვრისა და ძველაღმოსავლური სახელმწიფოების სოციალური ბუნების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ნიკოლსკის სასკოლო სახელმძღვანელოს ცვლილება სწორედ აღნიშული დისკუსიის შედეგებმა განაპირობა, აუცილებელია მისი სათანადოდ განხილვაც. დისკუსიის ფარგლებში თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს სოციოლოგებმა, ეკონომისტებმა, ისტორიკოსებმა. წამოყენებულ იქნა ისეთი დებულებაც კი, რომლის მიხედვითაც „წარმოების აზიური წესი“ ანუ აღმოსავლური წესი გაიგივდა პირველყოფილი კო-

[1] მელიქიშვილი, *აზიური წარმოების წესი*, გვ. 213.
[2] ენგელსი, *ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა*, გვ. 179.
[3] პლეხანოვი, *მარქსიზმის ძირითადი საკითხები*, გვ. 62-64.

მუნიზმის ფორმაციასთან. თუ ამ მოსაზრებას ჭეშმარიტებად მივიღებთ, მაშინ გაუგებარი რჩება რატომ შეარქვა მარქსმა საკაცობრიო ისტორიის უნივერსალურ ეპოქას ერთი კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელი სახელი. შეიძლება ითქვას, რომ, მარქსისტული მოძღვრების პრინციპებით, ამ მსჯელობას ძველ აღმოსავლეთში სახელმწიფოს არარსებობამდე მივყავართ. თუ ძველ აღმოსავლეთში „წარმოების აზიური წესია“ გაბატონებული, ხოლო „აზიური წესი“ უკლასო საზოგადოებაა, მაშინ, მარქსიზმის მიხედვით, უკლასო საზოგადოებას სახელმწიფო ვერ ექნება. აღსანიშნავია, რომ ქართული სამეცნიერო სივრციდან დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ეკონომისტმა პ. გუგუშვილმა, რომელმაც „წარმოების აზიური წესი“ პირველყოფილი კომუნიზმის ბოლო საფეხურად წარმოადგინა, რომელიც ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნებით იყო გამოხატული.[1] ამ დისკუსიის ფარგლებში აღმოსავლეთმცოდნემ ვ. სტრუვემ წამოაყენა ძველაღმოსავლური ქვეყნების მონათმფლობელურობის კონცეფცია. სტრუვე თავის გამოკვლევაში ეყრდნობოდა ურის მესამე დინასტიის პერიოდში და ძველ ბაბილონში არსებულ სამეფო მეურნეობებში მომუშავე პერსონალის მდგომარეობას. სტრუვეს თვალთახედვით ამ მეურნეობებში მომუშავე პერსონალი მთელი წელი მუშაობდა. აქედან იგი ასკვნიდა, რომ ისინი საკუთარ საწარმოო საშუალებებს მოკლებულნი იყვნენ და მონებს წარმოადგენდნენ.[2] სტრუვემ ყურადღება მხოლოდ შუმერული დოკუმენტების დაჯამებულ მონაცემებს მიაპყრო, რამაც ის შეცდომაში შეიყვანა. შუმერული საბუთების ანალიზითა და შესაბამისი მათემატიკური გამოთვლებით დგინდება, რომ სამეფო მეურნეობაში მუშაობის ვალდებულება მთელი წლის განმავლობაში დაახლოებით 20-25 დღე იყო და არა მთელი წელიწადი, ასეთი რამ ფიზიკურად შეუძლებელიც კი იყო.[3] სტრუვე თავის ადრეულ ნაშრომებში არ იზიარებდა ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელურობის კონცეფციას, თუმცა 20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში მან პოზიცია მკვეთრად შეიცვალა. სტრუვემ დაიწყო ხუთფორმაციული სქემის დაცვა და მთელი ძველი სამყაროსათვის, ძველი აღმოსავლეთისთვისაც და ანტიკური საზოგადოებისთვისაც უნივერსალურ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციად მონათმფლობელობა გამოაცხადა. სტრუვეს თავის ნაშრომებში ხშირად მოჰყავდა ლენინის მტკიცება ხუთფორმაციული სქემისა და მონათმფლობელური წარმოების წესის უნივერსალურობის შესახებ, რომელიც ლენინმა 1919 წლის 11 ივლისს სვერდლოვსკის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში, „სახელმწიფოს შესახებ“ ჩამოაყალიბა.[4] პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სტრუვე სახელმწიფოსგან მხარდაჭერილი კონცეფციის გამ-

---

[1] გუგუშვილი, *აზიური წარმოების წესი*, გვ. 31.

[2] Струве, *Проблема зарождения*, გვ. 32-111; Струве, *Новые данные об организации труда*, გვ. 177-178.

[3] შარაშენიძე, *ძველ აღმოსავლეთში*, გვ. 12-19.

[4] ლენინი, *სახელმწიფოს შესახებ*, გვ. 559.

ხმოვანებელი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ საწყის ეტაპზე ძველ ისტორიაში მონათმფლობელურობის უნივერსალურობის კონცეფციას საბჭოთა მეცნიერებს შორისაც არ ჰყოლია ბევრი გამზიარებელი. ვითარება მკვეთრად შეიცვალა ი. სტალინის ნაშრომის, „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, გამოქვეყნების შემდეგ. ამ ნაშრომში სტალინმა კიდევ ერთხელ უარყო გეოგრაფიული გარემოს როლი, როგორც განმსაზღვრელი ფაქტორისა,[1] რითაც ფაქტობრივად საფუძველი გამოეცალა „წარმოების აზიური წესის“ განსხვავებული ბუნების მთავარ ამხსნელს. ამასთანავე, სტალინმაც მკაცრად დაიცვა ხუთფორმაციული სქემის უნივერსალურობა: „ისტორია იცნობს წარმოებით ურთიერთობათა ხუთ ძირითად ტიპს: პირველყოფილ-თემურს, მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს, სოციალისტურს“.[2] შეიძლება ითქვას, რომ სტალინის ამ ნაშრომით ძველაღმოსავლური სახელმწიფოების მონათმფლობელურობის კონცეფცია უპირობო ჭეშმარიტებად იქნა აღიარებული, ხოლო დისკუსია შეწყდა. სტრუვეს კონცეფციამ გაიმარჯვა, ამიტომაც იგი მოგვიანებით გამარჯვებულის პოზიციიდან წერს: „შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ფორმაციების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების თანახმად, პირველყოფილ-თემური წყობილება ძველაღმოსავლური საზოგადოებების ისტორიაში ჩაანაცვლა მონათმფლობელურმა სისტემამ და არა ბატონყმობამ, როგორც ამას გვთავაზობდა ციკლისტური კონცეფცია და ასევე ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსი, რომელნიც ამტკიცებდნენ მარადიულ ფეოდალიზმს აღმოსავლეთში“.[3] ამ ზოგიერთ ისტორიკოსში, უპირველეს ყოვლისა, ვ. სტრუვე ნ. ნიკოლსკის გულისხმობდა. ნიკოლსკი დისკუსიის განმავლობაში არ ეთანხმებოდა სტრუვეს და მყარად იცავდა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ძველაღმოსავლურ სახელწიფოებში ფეოდალური ურთიერთობები იყო გაბატონებული და ამ იდეებზე ჰქონდა მას დაფუძნებული საბჭოთა კავშირში მაშინ მოქმედი სასკოლო სახელმძღვანელო ძველი მსოფლიოს ისტორიაში. სტალინის აშკარა პოზიციის შემდეგ ნიკოლსკიმ თავისი კატეგორიული ტონი შეარბილა, თუმცა მას სტრუვესთან ოპონირება სხვა საკითხებზე (მაგალითად, სავალო მონობის შესახებ) არ შეუწყვეტია. უნდა აღინიშნოს, რომ სტრუვესა და ნიკოლსკის შორის დაპირისპირება გასცდა სამეცნიერო დავის ფარგლებს და მან პიროვნული ხასიათი მიიღო.[4] უნდა ითქვას ისიც, რომ სტრუვე ვერ გაურბოდა ფაქტოლოგიურ მასალას, ამიტომ ცდილობდა შუალედური პოზიციის გამოძებნას. ამისი მცდელობა ჰქონდა მას თავისი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსში, რომლის შესავალშიაც სტრუვე კი წერს რომ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები მონათმფლობელური იყო, თუმცა იქვე ამატებს: „ძველ აღმოსავლეთში მონობა

[1] სტალინი, *დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ*, გვ. 687.
[2] სტალინი, *დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ*, გვ. 684.
[3] Струве, *Проблемы истории*, გვ. 29-30.
[4] Крих, *История поражения*, გვ. 16.

ინარჩუნებს შინამსახური მონობის ხასიათს, იგი ჯერ კიდევ არაა შეჭრილი სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში, მონათა რაოდენობა შედარებით დიდი არაა, წარმოებას უპირატესად ნატურალური ხასიათი აქვს“.[1] ეს ფრაზა კიდევ უფრო დიდ გაურკვევლობას ქმნის: თუ კი სამეურნეო ცხოვრება უპირატესად ნატურალური ხასიათისაა, თუ კი მონათა რაოდენობა ცოტაა, თუ კი მონური შრომა სამეურნეო ცხოვრებაში გაბატონებული არ არის, მაშინ რომელ მონათმფლობელურ ფორმაციაზეა საუბარი?

საბოლოოდ, 30-იანი წლების მიწურულს ‘დაკანონდა’ ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელური წარმოების წესი, ხოლო მარქსისა და ენგელსის ციტატები, რომლებიც განსხვავებულ შეხედულებას ამტკიცებდა, ყველამ მიივიწყა. ამ ფონზე შემთხვევითი არაა, თუ რატომ გაეხვა ნ. ნიკოლსკის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო კრიტიკის მძაფრ ქარცეცხლში, იქ ხომ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები ფეოდალურად იყო მიჩნეული. ეს შეხედულება აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ თეორიასთან. სწორედ, ამიტომ დაიწყო მუშაობა ახალი სახელმძღვანელოს შესაქმნელად, რომლის რედაქტორიც ა. მიშულინი იყო. ის კი აცხადებდა, რომ „საბჭოთა ქვეყანამ სკოლას უნდა მისცეს ისტორიის მარქსისტული სახელმძღვანელოები“![2] მიშულინის რედაქტორობით გამოსულ სახელმძღვანელოზე პირდაპირ აისახა 30-იანი წლების დისკუსიის შედეგები. სახელმძღვანელოებში ძველაღმოსავლური საზოგადოებები უკვე ეჭვშეუტანლად მონათმფლობელურად იყო გამოცხადებული.

„წარმოების აზიური წესის“ შესახებ დისკუსიამ ახალი ძალით თავი პოსტსტალინურ ეპოქაში, 60-იან წლებში იჩინა. ხრუშჩოვისეული „დათბობის“ ხანა ამ მიმართულებითაც დადგა, ისტორიკოსებმა, მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო გ. მელიქიშვილი, დაიწყეს ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებების მონათმფლობელურობის კონცეფციის კრიტიკა, თუმცა ამ დისკუსიის შედეგებს გაბატონებული თვალსაზრისის ცვლილება არ მოჰყოლია. საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის ისეთი გამორჩეული წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ სტრუვეს მოწაფეები: ი. დიაკონოვი, მ. კოროსტოვცევი, გ. ილინი და სხვები, ისევ სტრუვეს შეხედულებას იზიარებდნენ. სტრუვესეული კონცეფცია სსრკ-ს დაშლამდე სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი იყო, ამიტომაც შენარჩუნდა სტრუვეს მონათმფლობელურობის უნივერსალურობის კონცეფცია მომდევნო პერიოდში გამოცემულ სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში.

ცხადია, გაჩნდება კითხვა, რატომ გადაწყვიტა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ აღნიშნული საკითხი ამგვარად? „წარმოების აზიური წესის“ საკითხი პირდაპირ უკავშირდებოდა გეოგრაფიულ ფაქტორს. საბჭოთა ისტორიოგრაფია ყველა ახსნას, გარდა კლასთა ბრძოლისა და ეკონომიკური ფაქტორისა არამეცნიერულად თვლიდა და ეს მაშინ, როცა თავად მარქსი

[1] სტრუვე, *ძველი აღმოსავლეთის ისტორია*, გვ. 7-8.
[2] Мишулин, *О марксистском учебнике*, გვ. 18.

და ენგელსი ამახვილებდნენ ყურადღებას გეოგრაფიულ და კლიმატურ ფაქტორებზე. კიდევ ერთი მიზეზი ხუთფორმაციული სქემის უნივერსალურობის დამკვიდრება იყო, მაგრამ მონათმფლობელური კონცეფციის უნივერსალურობას სწორედ „წარმოების აზიური წესის“ ბუნება უშლიდა ხელს, ამიტომაც ის, რაც თეორიას მარტივად არ მოერგო, უბრალოდ გვერდზე გადადეს, ხოლო ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსთა ცალკეული გამონათქვამების აბსოლუტიზაციის შედეგად, როგორც ლ. გორდეზიანი შენიშნავს, მთელი ძველი სამყარო მონათმფლობელურად მოინათლა, ხოლო ნებისმიერი არათავისუფალი ამ სამყაროში – მონად.[1] კიდევ ერთი სერიოზული ფაქტორი შემდეგი გარემოება უნდა იყოს: საბჭოთა მარქსიზმის იდეოლოგიური დოქტრინა ლენინურ-სტალინისეული ინტერპრეტაციებით ქადაგებდა, რომ კაცობრიობამ განვითარების ერთნაირი გზა გაირა და ერთნაირადვე დაამყარებდა უკლასო-კომუნისტურ საზოგადოებას; პროლეტარულ რევოლუციას მთელ დედამიწაზე უნდა გაემარჯვა და ის უნივერსალური უნდა გამხდარიყო. საბჭოთა იდეოლოგია კომუნიზმის აუცილებელ უნივერსალურობას ‘ადასტურებდა’ წინაკომუნისტური საზოგადოებების უნივერსალური ხასიათით და ასკვნიდა, რომ როგორც სოციალიზმამდელი ფორმაციები იყო უნივერსალური, ზუსტად ისეთივე იქნებოდა სოციალისტური ფორმაცია. ასეთ შემთხვევაში „წარმოების აზიური წესი“ ერთგვარ გამონაკლისს ქმნიდა ისტორიული წარსულიდან, ამიტომაც მისი მოდიფიკაცია ხუთფორმაციული სქემის ჩარჩოში უნდა მომხდარიყო.

სასკოლო სახელმძღვანელოებში ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით კიდევ უნდა აღინიშნოს რამდენიმე გარემოება. კერძოდ, პირველ სახელმძღვანელოებში კულტურის ისტორიის საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცევა, თუმცა უფრო გვიანდელ გამოცემებში ეს ხარვეზი აღმოფხვრილია. სახელმძღვანელოებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ურარტუს ისტორიის საკითხებს. ეს შემთხვევითი არ არის. ურარტუ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული პირველი სახელმწიფო იყო. ამით აიხსნება ეს განსაკუთრებული ინტერესი. უნდა აღინიშნოს, რომ რატომღაც არც ერთ სახელმძღვანელოში არ არის შეტანილი ხეთების სახელმწიფო. თუ რატომ მოხდა ეს, რთული სათქმელია, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ სახელმძღვანელოებში განხილულია იუდეა, ფინიკია, ჩინეთი და ინდოეთი. სავარაუდოდ, ამის მთავარი მიზეზი, სწორედ ის გარემოებაა, რომ ხეთების სახელმწიფო ყველაზე მეტად იყო ამოვარდნილი საბჭოური ხუთფორმაციული სქემიდან და იქ მონათმფლობელური წარმოების წესი კიდევ უფრო ნაკლებად იყო განვითარებული.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საბჭოთა იდეოლოგიური დოგმებისაგან ყველაზე თავისუფალი 30-იან წლებში გამოცემული ნიკოლსკის სახელმძღვანელო ჩანს. ეს კი იმით შეიძლება აიხსნას, რომ კომუნისტური პარტია, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა მძლავრად ფეხი მოკიდებული და თა-

[1] გორდეზიანი, *B-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO*, გვ. 8.

ვად პარტიის შიგნითაც მუდმივი დაძაბულობა იყო, ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ აკონტროლებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. სწორედ ამის გამო სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო პოლიტიკა შედარებით უფრო სქემატური და თავისუფალი იყო. ჰ. გრეჰემი საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ წლებს „დაბნეულობის პერიოდს“ უწოდებს, როდესაც საბჭოთა ისტორიკოსებს ვერ გაერკვიათ, რომელ გზას უნდა გაჰყოლოდნენ.[1] XX საუკუნის 30-ინი წლების მეორე ნახევრიდან მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ზემოთ დასახელებულ ამერიკელ ავტორს ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს 1921 წელს გამოცემული ჟურნალი „რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის მოამბე“, რომელშიც ისტორიის მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია ნაკლებად იყო, თუმცა 30-იანი წლებიდან ცვლილება ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკაში აშკარა გახდა. ჰ. გრეჰემის მითითებით, თვით „მატერიალური კულტურის ინსტიტუტის“ შექმნაც იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა.[2] სამეცნიერო ცხოვრება მთლიანად რეჟიმის კონტროლქვეშ მოექცა. ამ ფონზე შემთხვევითი არ არის, რომ „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ძველი მსოფლიოს ისტორიის პირველ საბჭოთა სასკოლო სახელძღვანელოდ გამოცხადებულია მიშულინის რედაქტორობით მომზადებული წიგნი[3] და არა ნიკოლსკის სახელმძღვანელო, რომელიც 8 წლით ადრე გამოიცა, ხოლო ნიკოლსკის ბიოგრაფიაში საერთოდ არ არის მითითებული, რომ მას ოდესმე სასკოლო სახელმძღვანელო დაეწეროს.[4]

სახელმძღვანელოები რუსი ავტორების დაწერილი იყო და ამიტომაც ძნელია ისინი ქართული ისტორიოგრაფიის ნაწილად ჩაითვალოს, თუმცა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სწავლება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში სწორედ ამ სახელმძღვანლოებით მიმდინარეობდა. სახელმძღვანელოები ყველაზე მეტად აირეკლავდნენ იმ იდეოლოგიურ ცვლილებებს, რაც საბჭოთა კავშირის პერიოდში ძველი ქვეყნების ისტორიის შესწავლის მიმართულებით ხდებოდა. საბჭოთა პერიოდში სკოლის სახელმძღვანელოები (მათ შორის საბჭოთა თანამედროვეობისაგან ყველაზე დაშორებული ეპოქისაც კი) გადაქცეული იყო მძლავრ პროპაგანდისტულ იარაღად. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პროპაგანდისტული დატვირთვა საბჭოთა კავშირის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ხასიათისა იყო და პირდაპირ უკავშირდებოდა პარტიული ნომენკლატურის ელიტაში განხორციელებულ ცვლილებებს. ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოებს დაკისრებული ჰქონდათ ორი ძირითადი პროპაგანდისტული ფუნქცია: მათ მოსწავლეებში უნდა ჩაენერგათ ისტორიის განვითარების მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური ინტერპრეტაცია და ათეისტური მსოფლმხედველობა.

---

[1] Graham, *The Significant Role*, გვ. 90.
[2] Graham, *The Significant Role*, გვ. 90.
[3] *Мишулин Александр*, გვ. 357.
[4] *Никольский Николай*, გვ. 14.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა
Cited Sources and Literature

გორგაძე, *ისტორიის სწავლების მეთოდიკა* – გორგაძე ა., *ისტორიის სწავლების მეთოდიკა*, თბილისი, 1957

(**Gorgadze, *History Teaching Methodology*** – Gorgadze A., *History Teaching Methodology*, Tbilisi, 1957).

გორდეზიანი, *B-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO* – გორდეზიანი ლ., *B-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO ძველი სამყაროს სოციალური ისტორიის კონტექსტში*, თბილისი, 1999

(**Gordeziani, *The DO-E-RO of B-linear Texts*** – Gordeziani L., *The DO-E-RO of B-linear Texts in the Context of the Social History of the Ancient World*, Tbilisi, 1999).

გუგუშვილი, *აზიური წარმოების წესი* – გუგუშვილი პ., *აზიური წარმოების წესი*, ტფილისი, 1934

(**Gugushvili, *Asiatic Mode of Production*** – Gugushvili P., *Asiatic Mode of Production*, Tpilisi, 1934).

ენგელსი, *ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა* – ენგელსი ფ., *ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა*, თბილისი, 1938

(**Engels, *The Origin of the Family, Private Property and the State*** – Engels F., *The Origin of the Family, Private Property and the State*, Tbilisi, 1938).

ვარდოსანიძე, ჩიმაკაძე, ცქიტიშვილი, *ისტორიის სწავლების მეთოდიკა* – ვარდოსანიძე ს., ჩიმაკაძე ზ., ცქიტიშვილი ე., *ისტორიის სწავლების მეთოდიკა*, თბილისი, 1999

(**Vardosandize, Chimakadze, Tskitishvili, *History Teaching Methodology*** – Vardosandize S., Chimakadze Z., Tskitishvili E., *History Teaching Methodology*, Tbilisi, 1999).

ზინოვიევი, *ისტორიის სწავლების მეთოდიკა საშუალო სკოლაში* – ზინოვიევი მ., *ისტორიის სწავლების მეთოდიკა საშუალო სკოლაში*, თბილისი, 1950

(**Zinoviev, *History Teaching Methodology in Secondary School*** – Zinoviev M., *History Teaching Methodology in Secondary School*, Tbilisi, 1950).

კოვალიოვი, *ძველი მსოფლიოს ისტორია* – კოვალიოვი ს., *ძველი მსოფლიოს ისტორია: სახელმძღვანელო V-VI კლასებისათვის*, თბილისი, 1954

(**Kovalev, *History of the Ancient World*** – Kovalev, *History of the Ancient World: Secondary School Textbook*, *Grades 5th-6th*, Tbilisi, 1954).

კოროვკინი, *ძველი მსოფლიოს ისტორია* – კოროვკინი ფ., *ძველი მსოფლიოს ისტორია: სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V-VI კლასებისათვის*, თბილისი 1958

(**Korovkin, *History of the Ancient World*** – Korovkin P., *History of the Ancient World: Secondary School Textbook*, *Grades 5th-6th*, Tbilisi, 1958).

კოროვკინი, ძველი მსოფლიოს ისტორია: სახელმძღვანელო მე-5 კლასისათვის – კოროვკინი ფ., *ძველი მსოფლიოს ისტორია: სახელმძღვანელო მე-5 კლასისათვის*, თბილისი, 1981
(**Korovkin, *Ancient World History: Textbook for Grade 5th*** – Korovkin P., *Ancient World History Textbook for Grade 5th*, Tbilisi, 1981).
ლენინი, *სახელმწიფოს შესახებ* – ლენინი ვ., *სახელმწიფოს შესახებ*, წიგნში: მისივე, თხზულებანი 45 ტომად, ტ. 29, IV გამოცემა, თბილისი, 1952, გვ. 552-577
(**Lenin, *About the State*** – Lenin, *About the State*, In the book: Idem, *Works in forty-five Volumes*, vol. 29, 4th edition, Tbilisi, 1952, pp. 552-577).
მარქსი, *პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის* – მარქსი კ., *პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის*, თბილისი, 1953
(**Marx, *A Contribution to the Critique of Political Economy*** – Marx K., *A Contribution to the Critique of Political Economy*, Tbilisi, 1953).
მელიქიშვილი, *აზიური წარმოების წესი* – მელიქიშვილი გ., *აზიური წარმოების წესი*, ქსე ტ. I, თბილისი, 1975, გვ. 213
(**Melikishvili, *Asiatic Mode of Production*** – Melikishvili G., *Asiatic Mode of Production*, "Georgian Soviet Encyclopedia", vol. I, Tbilisi, 1975, p. 213).
ნიკოლსკი, *ისტორია: წინაკლასობრივი საზოგადოება* – ნიკოლსკი ნ., *ისტორია: წინაკლასობრივი საზოგადოება, ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ქვეყანა*, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V ჯგუფისათვის, ტფილისი, 1933
(**Nikolsky, *History: Pre-Class Society*** – Nikolsky N., *History: Pre-Class Society, Ancient East, Ancient Country*, Textbook for 5th Grade of Secondary School, Tpilisi, 1933).
პლეხანოვი, *მარქსიზმის ძირითადი საკითხები* – პლეხანოვი გ., *მარქსიზმის ძირითადი საკითხები*, ტფილისი, 1931
(**Plekhanov, *Fundamental Problems of Marxism*** – Plekhanov G., *Fundamental Problems of Marxism*, Tpilisi, 1931).
სტალინი, *დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ* – სტალინი ი., *დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ*, წიგნში: მისივე, *ლენინიზმის საკითხები*, თბილისი, 1952, გვ. 671-703
(**Stalin, *About Dialectical and Historical Materialism*** – Stalin J., *About Dialectical and Historical Materialism*, In the book: Idem, *Foundations of Leninism*, Tbilisi, 1952, pp. 671-703).
სტრუვე, *ძველი აღმოსავლეთის ისტორია* – სტრუვე ვ., *ძველი აღმოსავლეთის ისტორია*, თბილისი, 1946
(**Struve, *History of the Ancient East*** – Struve V., *History of the Ancient East*, Tbilisi, 1946).
ქარჩავა, *ანტიკური ისტორიის საკითხები* – ქარჩავა ზ., *ანტიკური ისტორიის საკითხები საბჭოთა პერიოდის სასკოლო სახელმძღვანელოებში*, „ლოგოსი", 10, 2024, გვ. 101-119

(**Karchava**, ***Issues of the History of Antiquity*** – Karchava Z., *Issues of the History of Antiquity in School Textbooks of the Soviet Period*, "Logosi", 10, 2024, pp. 101-119).
შარაშენიძე, *ძველ აღმოსავლეთში* – შარაშენიძე ჯ., *ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელური ფორმაციის შესაძლო არსებობის თეორიის მიმართება შუმერის სახელმწიფო მეურნეობაში მუშა-ხელის არასრული დასაქმების პრაქტიკასთან*, სᲗ, 18, 2009, გვ. 12-19
(**Sharashenidze, *In the Ancient East*** – Sharashenidze J., *The Relationship Between the Theory of the Possible Existence of a Slave-owning Formation in the Ancient East and the Practice of Underemployment of Labor in the Sumerian State Economy*, "Sa-ist'orio Vert'ik'alebi" ["Historical Verticals"], 18, 2009, pp. 12-19).
ჩიმაკაძე, *მოსწავლეთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა* – ჩიმაკაძე ზ., *მოსწავლეთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა ძველი მსოფლიოს ისტორიის გაკვეთილებზე*, თბილისი, 1983
(**Chimakadze, *Scientific-Atheistic Education of Students*** – Chimakadze Z., *Scientific-Atheistic Education of Students in Ancient World History Lessons*, Tbilisi, 1983).
ძველი მსოფლიოს ისტორია – *ძველი მსოფლიოს ისტორია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V-VI კლასებისათვის*, რედ. ა. მიშულინი, თბილისი, 1942
(***Ancient World History*** – *Ancient World History*, Textbook for Grades 5th-6th of Secondary School, Ed. by A. Mishulin, Tbilisi, 1942).
Assmann, *Canon and Archive* – Assmann A., *Canon and Archive*, In: "A Companion to Cultural Memory Srudies", Ed. by A. Erll and A. Nünning, Berlin, New York, 2010, pp. 97-107.
Foner, *Who owns history* – Foner E., *Who owns history*, New York, 2002.
Graham, *The Significant Role* – Graham H. F., *The Significant Role of the Study of Ancient History in the Soviet Union*, CW, Vol. 61, No.3, 1967, pp. 85-97.
Крих, *История поражения* – Крих С., *История поражения: Н. М. Никольский в борьбе за понимание общественного строя древневосточных обществ*, "Восток (Oriens)", 1, 2018, გვ. 13-22
(**Krikh, *History of Defeat*** – Krikh S., *History of Defeat: N. M. Nikolsky in the Struggle for Understanding the Social Structure of Ancient Eastern Societies*, "Vostok [Oriens]", 1, 2018, pp. 13-22).
Маркс, Энгельс, *Переписка 1844-1855* – Маркс К., Энгельс Ф., *Переписка 1844-1855*, Idem, *Сочинения*, т. XXI, Москва, Ленинград, 1929
(**Marx, Engels, *Correspondence 1844-1855*** – Marx K., Engels F., *Correspondence 1844-1855*, In: Idem, *Works*, vol. XXI, Moscow, Leningrad, 1929).
Мишулин Александр – *Мишулин Александр*, БСЭ, т. 16, 1974, გვ. 357
(***Mishulin Alexander*** – ***Mishulin Alexander***, "Great Soviet Encyclopedia", v. 16, 1974, p. 357).
Мишулин, *О марксистском учебнике* – Мишулин А., *О марксистском учебнике по древней истории*, ВДИ, 1, 1939, გვ. 11-18

(**Mishulin, *On the Marxist Textbook*** – Mishulin A., *On the Marxist Textbook on Ancient History*, “Vestnik drevney istorii”, 1, 1939, pp. 11-18).

Николай, *О назначении гимназии* – Николай А., *О назначении гимназии в системе народного образования и об учебном их курсе*, Idem, *Собрание некоторых статей барона А. Николай*, Тифлис, 1870, გვ. 73-112

(**Nikolay, *On the Role of the Gymnasium*** – Nikolay A., *On the Role of the Gymnasium in the System of Public Education and on Their Curriculum*, In: Idem, *A Collection of Some Articles* by Baron A. Nikolay, Tiflis, 1870, pp. 73-112).

Никольский Николай – *Никольский Николай*, БСЭ, т. 18, 1974, გვ. 14.

(***Nikolsky Nikolay*** – *Nikolsky Nikolay*, “Great Soviet Encyclopedia”, v. 18, 1974, p. 14).

Нора, *Всемирное торжество памяти* – Нора П., *Всемирное торжество памяти*, “Память о войне 60 лет спустя. Россия, Германия, Европа”, Под редакцией М. Габовича, Москва, 2005, გვ. 391-402

(**Nora, *World Celebration of Memory*** – Nora P., *World Celebration of Memory*, In: “Memory of the War 60 Years Later. Russia, Germany, Europe”, Edited by M. Gabovich, Moscow, 2005, pp. 391-402).

Струве, *Новые данные об организации труда* – Струве В., *Новые данные об организации труда и социальной структуре общества Сумера эпохи III династии Ура*, СВ, VI, 1949, გვ. 149-184

(**Struve, *New data on the organization of labor*** – Struve V., *New data on the organization of labor and the social structure of the Sumer society during the III dynasty of Ur*, “Sovetskoe vostokovedenie”, VI, 1949, pp. 149-184).

Струве, *Проблема зарождения* – Струве В., *Проблема зарождения, развития и разложения рабовладельческих обществ Древнего Востока* (Доклад и заключительное слово), ИГАИМК, 77, 1934, გვ. 32-111

(**Struve, *The Problem of the Origin*** – Struve V., *The Problem of the Origin, Development and Decay of Slave-Owning Societies in the Ancient East* [Report and Concluding Remarks], “Izvestia gosudarstvennoy akademii istorii material’noy kul’turi” [“Proceedings of the State Academy for the History of Material Culture”], 77, 1934, pp. 32-111).

Струве, *Проблемы истории* – Струве В., *Проблемы истории древнего востока в советской историографии*, ВДИ, 3, 1947, გვ. 17-41

(**Struve, *Problems of the History*** – Struve V., *Problems of the History of the Ancient East in Soviet Historiography*, “Vestnik drevney istorii”, 3, 1947, pp. 17-41).

Феро, *Как рассказывают историю* – Феро М., *Как рассказывают историю детям в разных странах мира*, Москва, 2010

(**Fero, *How History is Told*** – Fero M., *How History is Told to Children in Different Countries of the World*, Moscow, 2010).

Zaza Karchava

Ideological Tendencies in School Textbooks on the History of the Ancient East during the Soviet Period

Summary

The main topic of the article is the ideological tendencies present in Soviet-era school textbooks on the history of the Ancient East. The Article discusses school textbooks published during the Soviet period, that dealt with the history of the ancient world.

The core issue explored is the use of history textbooks as instruments of propaganda within a totalitarian state. From this perspective, it seems interesting to discuss an era that is several millennia away from the Soviet period. The research questions are formulated under the main problem: How did Marxist theory prevailing in the totalitarian state with its Leninist-Stalinist variations, affect the Soviet scientific community? To what extent did the political climate of the USSR shape interpretations of such a remote past as the ancient world? To what extent did Soviet historiography adhere to the views of Karl Marx and Friedrich Engels on the history of the ancient world? How did shifts within the Soviet political elite impact the teaching of ancient history in schools?

The report is interdisciplinary, combining current issues in pedagogy and historiography. The study of textbooks is a relevant issue in modern historiography, as textbooks constitute a distinct type of historical source that clearly reflects both historiographical trends and the historical and cultural background. A textbook is a kind of propaganda instrument, and it has this function even more pronounced within totalitarian regimes.

It is worth noting that relatively few scholarly works have been devoted to this topic. While working on the report and analyzing the existing literature, two chronological groups of publications were identified, which also differ in content. The first group includes scientific literature on textbooks published in the Soviet Union, while the second group includes works produced after the collapse of the Soviet Union.

The paper uses the historiographical research methods and is methodologically grounded in the principles of historical cognition. To address the research questions, the study applies hermeneutic, discourse, and comparative analysis.

The study revealed that textbooks published in the early years of the Soviet Union were the least influenced by ideological dogma, as the regime had not yet fully consolidated control over all spheres of public life. The study found that Soviet his-

toriography distorted the ideas of Marx and Engels on ancient history adapting them to serve its own ideological objectives. Ideological trends shifted in accordance with the changes in the party nomenclature. The research further demonstrated that ancient world history textbooks had two main propaganda functions: they were supposed to instil in students a Marxist-Leninist-Stalinist interpretation of history, and at the same time, promote an atheistic worldview through the educational content.